დადგენილება 17/2026 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

დადგენილება No 17/2026

თარიღი: 20 მაისი, 2026 წელი

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" 47-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,წ" ქვეპუნქტით დადგენილი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, 33–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ზაქარაიას 2026 წლის 04 მაისის №281 განცხადებისა და კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 20 მაისის №05 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ზაქარაიას განცხადება, პირადი სურვილის საფუძველზე, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და 2026 წლის 4 ივნისიდან შეუწყდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება.
2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი